ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.03.2016

საჩივრის რეგისტრაციის №022/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. შ.-ის მიმართ, სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. შ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 28 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. შ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი აიყვანა მისმა დის შვილმა და თანხაც წინასწარ გადასცა მას, რის შემდეგაც მან დაიწყო მისი საადვოკატო მომსახურება.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან პირველ სასამართლო სხდომაზე თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ სსსკ-ს 353-ე მუხლის პირველ ნაწილში, მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ არ უნდა აჰყოლოდა პოლიციის პროვოკაციას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისი უფლებები არ დაიცვა და მოქმედებდა პროკურორის ინტერესების შესაბამისად, რადგანაც იგი არწმუნებდა მას, რომ მისი საქმე ძალიან მძიმედ იყო, რომ იგი მკვლელობის გამო იყო დაკავებული და ყველა მას ასახელებდა დამნაშავედ, ამიტომაც, ეღიარებინა დანაშაული და ეთანამშრომლა გამოძიებასთან, რადგანაც, პროკურატურაში ჰყავდა ნაცნობები და მათი მეშვეობით მხოლოდ ჯარიმის გადახდა მოუწევდა სასჯელის სახით. თუმცა, საჩივრის ავტორის თქმით, როდესაც მან მოსთხოვა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მას მკვლელობას აბრალებდნენ, ადვოკატმა ვერაფერი უპასუხა და, შესაბამისად, არც რაიმე მტკიცებულება უჩვენებია მისთვის ამასთან დაკავშირებით.

1.5 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა მისი ოჯახის წევრები მოატყუა, მოსთხოვა რა მათ 2000 (ორი ათასი) ლარის გადახდა, მათ კი გადაუხადეს 1000 (ათასი) ლარი, რაც, როგორც საჩივრის ავტორი ახცადებს, მან მოგვიანებით შეიტყო.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მისი მეზობელი შეესწრო პოლიციელებთან შელაპარაკებას. მოწმის არსებობა ადვოკატისთვის თავიდანვე ცნობილი იყო ა. ნ.-ს ნათესავისგან, მაგრამ ადვოკატმა კლიენტს დაუმალა მოწმის არსებობის ფაქტი და არწმუნებდა მას, რომ საქმეში არ არსებობდა შემთხვევის მოწმე.

1.7 საჩივრის ავტორი თავდაპირველად განმარტავს, რომ სასამართლო სხდომას, სადაც მას გამოუტანეს განაჩენი და მიუსაჯეს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, არ ესწრებოდნენ მისი ოჯახის წევრები, რადგანაც, ადვოკატმა მათ არასწორად შეატყობინა სხდომის დაწყების დრო. თუმცა, შემდგომ განცხადებაში საჩივრის ავტორი ამბობს, რომ მათი დაუსწრებლობის მიზეზი იყო სასამართლო სხდომის ჩანიშნულზე ნახევარი საათით ადრე დაწყება.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არ ენდობოდა, მაგრამ საქმის სასამართლო წესით განხილვისას ეთანხმებოდა მის მოქმედებებს.

1.9 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატმა მის ოჯახის წევრებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სასამართლო შენობის გარეთ, მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ თითქოს მან შეასრულა მის მიერ მიცემული პირობა, რომლითაც საჩივრის ავტორისთვის თავიდან უნდა აეცილებინა თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, საჩივრის ავტორმა გაართულა სიტუაცია მოსამართლისათვის, სხდომის მონაწილეთათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, სასამართლომ მას გამოუტანა განაჩენი, რომელიც ითვალისწინებდა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთას და სწორედ ამას მოჰყვა მისი აღშფოთება. საჩივრის ავტორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ადვოკატმა მის ოჯახის წევრებს უთხრა, რომ მას მოუხსნა ყაჩაღობის ბრალდება, თუმცა მას ასეთი ბრალდება წაყენებული არ ჰქონია.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 09 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მეორე დღეს - 10 სექტემბერს, ხოლო ადვოკატმა 18 სექტემბერს, მისი ნებართვის გარეშე, შეიტანა სააპელაციო საჩივარი მის საქმეზე, რომელიც შედგენილი იყო მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადვოკატის საჩივრის შესახებ კლიენტმა ადვოკატ ნ. შ.-სთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ახალი ადვოკატისგან შეიტყო.

1.11 2016 წლის 21 იანვარს, 21 მარტს, 15 აპრილს, 06 მაისს, 13 მაისს, 27 მაისს, 05 ივლისს, 12 ოქტომბერს, 20 სექტემბერს, 2017 წლის 04 იანვარს მომჩივანმა ა. ნ.-მ დამატებითი განცხადებებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც კიდევ ერთხელ დეტალურად აღწერა საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები და ადვოკატის მიმართ არსებული პრეტენზიები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. შ.-მ 2016 წლის 06 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება ა. ნ.-ს საჩივართან დაკავშირებით და განმარტა, რომ 2015 წლის 20 მაისს მის საადვოკატო ბიუროში მივიდა საჩივრის ავტორის ნათესავი, ხ. კ. ა. ნ.-სთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის თხოვნით. იმავე სოფელში, სადაც ა. ნ. ცხოვრობდა მეზობლად კაცი იყო მოკლული და ა. ნ.-ს აბრალებდნენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას. ადვოკატი გაესაუბრა ა. ნ.-ს ნათესავებს, ხ. კ.-სთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მიიღო საადვოკატო მომსახურების საზღაური.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვდა დაცვის ქვეშ მყოფ პირს, რომელმაც გააცნო საქმის ვითარება. საჩივრის ავტორმა ადვოკატთან აღიარა, რომ პოლიციას გაუწია წინააღმდეგობა, რადგანაც იყო ნაბახუსევი. შელაპარაკების მიზეზი გახდა პოლიციელთა შეკითხვა თუ სად იმყოფებოდა მკვლელობის ღამეს. ადვოკატი ასევე ესაუბრა გამომძიებელს, რომლისგანაც შეიტყო, რომ მისი კლიენტი მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის გამო იყო დაკავებული. ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ა. ნ.-მ მას აუხსნა, რომ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს თავადაც აღიარებდა და ინანიებდა, ამიტომაც, ამ საკითხზე არ აპირებდა დავას და მისთვის მთავარი იყო მკვლელობისთვის არ გაესამართლებინათ. ადვოკატმა საჩივრის ავტორის თხოვნით შეადგინა საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადება, რომელიც საჩივრის ავტორმა სოციალურ მუშაკთან ერთად წაიკითხა და მოაწერა ხელი, რაც დაადასტურა სოციალურმა მუშაკმა. ამის შემდეგ, როგორც ადვოკატი აცხადებს, მან ეს დოკუმენტი წარადგინა პროკურატურაში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის სანქცია ითვალისწინებდა ჯარიმასაც, პირობით მსჯავრსაც და თავისუფლების აღკვეთასაც და მხოლოდ მოსამართლეზე იყო დამოკიდებული, თუ რომელს გამოიყენებდა მოცემულ შემთხვევაში, ამიტომაც, მას საჩივრის ავტორისთვის არანაირი წინასწარი გარანტია არ მიუცია იმის თაობაზე, თუ სასჯელის რომელი ფორმა იქნებოდა გამოყენებული მის მიმართ თუ საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდებოდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ყველა პროცესზე ეთანხმებოდა მოსამართლეს და აღიარებდა ბრალს, აგრეთვე, მას განემარტა თავისი უფლებები და არანაირ იძულებას მის მიმართ, პროცესის არცერთ სტადიაზე, ადგილი არ ჰქონია, რასაც, ნათლად ადასტურებს სასამართლო სხდომის ჩანაწერები.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ბოლო სასამართლო სხდომაზე აღმოჩნდა, რომ პროკურატურა საჩივრის ავტორს არ უფორმებდა საპროცესო შეთანხმებას და, ამიტომ, ადვოკატმა შესავალ სიტყვაში თავად იშუამდგომლა სასჯელის მინიმალური სახის ანუ ჯარიმის დაკისრებაზე საჩივრის ავტორისთვის, რამდენადაც, ვითარებას მისი აღიარებითი ჩვენება ამსუბუქებდა.

2.7 ადვოკატი აღნიშნავს, რომ როდესაც სიტყვა საჩივრის ავტორს გადაეცა, მან უარყო ყველაფერი და დაიწყო პოლიტიკური განცხადებების გაკეთება და მოსამართლის მითითების მიუხედავად, არ წყვეტდა მას. ადვოკატმა იშუამდგომლობა შესვენების გამოცხადების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა. შესვენებაზე ადვოკატმა აუხსნა საჩივრის ავტორს, რომ უდავოდ გახდილი საქმე დასკვნით სიტყვაში სადავო ვერ გახდებოდა და თუ მას საქმის სადაოობა სურდა თავიდანვე, რომ ჰკითხა სადაოობის საკითხთან დაკავშირებით, მაშინვე რატომ არ დაეთანხმა. მის ასეთ ქმედებებს შესაძლოა ცუდი შედეგები მოჰყოლოდა, თუმცა, როგორც ადვოკატი განმარტავს, ამას შედეგი არ მოჰყოლია საჩივრის ავტორის მხრიდან და ამიტომ, დასკვნითი სიტყვა, საჩივრის ავტორის სურვილისდა მიხედვით დააყენა ბრალის ნაწილობრივი აღიარებით, რაც გამოიხატა იმაში, რომ ა. ნ. აჰყვა პოლიციის პროვოკაციას, რასაც შედეგად მოჰყვა ურთიერთშელაპარაკება, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორის ოჯახის წევრებს ზუსტად გააგებინა სასამართლო სხდომის დაწყების დრო და მათი დაგვიანება მისმა ბიძამ ახსნა იმით, რომ დროულად არ გამოვიდნენ ისინი ბაღდადიდან და, ამიტომაც, ვერ ჩამოუსწრეს სხდომას.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორის ოჯახის წევრების თხოვნით და საჩივრის ავტორისვე ინტერესებიდან გამომდინარე დაწერა სააპელაციო საჩივარი, რაზეც ბრალდებულის ხელმოწერა არაა საჭირო და მას ბრალდებული უშუალოდ სასამართლო სხდომაზე ეთანხმება ან უარყოფს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ დაასრულა მან ამ საქმეზე მუშაობა, რადგანაც, იყო ინტერესთა კონფლიქტი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი ხშირად იცვლიდა აზრს და მისთვის შეუძლებელი იყო მასთან მუშაობა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მიღებული თანხა წარმოადგენდა ბრალდებულის ოჯახის წევრების მიერ მისთვის საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილ საზღაურს. ის მოქმედებდა მხოლოდ ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე სავარაუდო შედეგებზე დაპირების გარეშე.

2.11 ადვოკატმა ნ. შ.-მ მონაწილეობა მიიღო საქმის ზეპირ განხილვაში 2017 წლის 10 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატმა დაადასტურა 2016 წლის 06 აპრილის წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი ფაქტები და დამატებით განმარტა, რომ მისი ა. ნ.-ს საქმეში ჩართვისას მომჩივანს აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული ჰქონდა პატიმრობა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, კლიენტს შეხვედრისას ეუბნებოდა, რომ შესაძლებელი იყო საქმის არსებითი განხილვა. აზუსტებდა თუ არსებობდა მოწმე, მოწმის არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სადაოდ გახდომა. ა. ნ. ყოველთვის განმარტავდა, რომ კონფლიქტს არავის შეესწრო, რადგან ეს მოხდა ღამით, ჩიხში. ა. ნ.-ს სსსკ-ის 353-ე მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონდა, რადგან აღნიშნული მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებდა ჯარიმასაც, პირობით მსჯავრსაც და პატიმრობასაც. ა. ნ. დარწმუნებული იყო, რომ მას პოლიციელებთან კონფლიქტის გამო არ მიუსჯიდნენ პატიმრობას, მას პრობლემა ჰქონდა მკვლელობის მუხლზე, რომელშიც ბრალი არ ედებოდა, მაგრამ საქმის განვითარება დამოკიდებული იყო ექსპერტიზის შედეგებზე. საბოლოოდ ექსპერტიზა ვერ ჩატარდა.

2.13 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოში საქმის განხილვისას ა. ნ. აღიარებდა რომ პოლიციას გაუწია წინააღმდეგობა, განმარტავდა, რომ იგი შეცდა და არ უნდა აჰყოლოდა პოლიციის პროვოკაციას.

2.14 ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების პირობას წარმოადგენდა ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით და პირობითი მსჯავრი. კლიენტის განმარტებით, თანხას გადაიხდიდა ხ. კ.-ს მეუღლე. ხ. კ.-ს ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ ხელშეკრულების მხარემ უარი განაცხადა აღნიშნული თანხის გადახდაზე. საბოლოოდ საპროცესო შეთანხმება ვერ შედგა. ადვოკატის განმარტებით, ა. ნ.-მ სასამართლო სხდომამდე დაახლოებით 4-5 დღით ადრე იცოდა რომ არ ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება.

2.15 ადვოკატის განმარტებით, სხდომების მსვლელობისას ა. ნ. ეთანხმებოდა ადვოკატის ახსნა-განმარტებებს და ადვოკატის აცილების შესახებ არ უშუამდგომლია.

2.16 ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მაგრამ მისი ოჯახის წევრების თხოვნით გაასაჩივრა. ა. ნ.-მ ადვოკატს სატელეფონო საუბრისას უთხრა, რომ განაჩენი გაესაჩივრებინა და როგორც მისთვის იქნებოდა უკეთესი, ისე დაეწერა. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ თუ აღიარებდა დანაშაულს, შეიძლებოდა სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნა. საბოლოოდ ა. ნ. არ დაეთანხმა ადვოკატის მიერ შედგენილ სააპელაციო საჩივარს, რაც ადვოკატს სატელეფონო კომუნიკაციის ფორმით აცნობა და მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა.

3. მოწმის დ. ნ.-ის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა ა. ნ.-ს შუამდგომლობა მისი ნათესავის დ. ნ.-ის გამოკითხვის შესახებ და მოწმე დაიკითხა. ადვოკატმა ნ. შ.-მ 2017 წლის 10 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა მოწმის დ. ნ.-ის საპროცესო ეტაპზე წარმოდგენილ ჩვენებას, თუმცა არ დააყენა შუამდგომლობა დ. ნ.-ის განხილვის სხდომაზე გამოკითხვისა და გამოკითხვაში მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მტკიცებულების სახით მიიღოს დ. ნ.-ის პოზიცია.

3.2 დ. ნ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ სოფელ დინში მოხდა ს. ნ.-ს მკვლელობა და იძებნებოდა მკვლელი. ა. ნ.-ს უყვარდა დალევა და დ. ნ.-მ ურჩია სოფელში არსებული მდგომარეობის გამო თავი შეეკავებინა დალევისგან და გარეთ სიარულისგან. სავარაუდოდ 10 მაისს ა. ნ. პოლიციამ ქუჩაში ნასვამ მდგომარეობაში დააკავა. თითქოს მასზე ჰქონდათ ეჭვი. ა. ნ.-ს ადვოკატი ოჯახმა დაუქირავა ბრალდებულთან კომუნიკაციისთვის. მოგვიანებით ოჯახმა გაიგო, რომ მკვლელობის ბრალდებით არ ყოფილა საქმე აღძრული და ა. ნ. დააკავეს მხოლოდ პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო.

3.3 მოწმის განმარტებით, მხოლოდ ერთხელ დაესწრო ქუთაისის საქალაქო სასამართლოში პროცესს და ადვოკატი ყველაფერზე ეთანხმებოდა ბრალდებას, ა. ნ.ც ეთანხმებოდა ადვოკატს, რადგან ეგონა, რომ ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ გამოუშვებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

3.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატს აცნობეს თვითმხილველი მოწმის ვინაობა, მაგრამ ადვოკატი ამ გარემოებით არ დაინტერესებულა. ა. ნ.-ს მეზობელი იყო თვითმხილველი.

3.5 მოწმის განმარტებით, ა. ნ. ამბობდა, რომ ადვოკატი დანაშაულის აღიარებას აძალებდა, პროკურატურის ინტერესებს იცავდა, თუმცა დ. ნ.-მ ზუსტად არ იცის მათი დიალოგის შინაარსი. ამასთან, ადვოკატმა დ. ნ.-სა და მის შვილს უთხრა, რომ ა. ნ.-ს ბრალი წარედგინა მკვლელობის

მუხლით და აღნიშნული მუხლი მოუხსნა ბრალდებულს. ბრალდებულმა ოჯახის წევრებს სატელეფონო საუბრისას აცნობა, რომ მას მკვლელობაში ბრალი არ ჰქონია წარდგენილი.

3.6 მოწმის განმარტებით, 2015 წლის 09 სექტემბერს სასამართლოს სხდომას ვერ დაესწრნენ და დარბაზის გარეთ იცდიდნენ, როდესაც ადვოკატმა ნ. შ.-მ მას და ა. ნ.-ს დედას უთხრა, რომ ა. ნ.-მ პროკურორსა და მოსამართლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც მიუსაჯეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

4.1 2016 წლის 29 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. შ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. შ.-მ ა. ნ.-ს დაცვისას არ გამოიყენა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები იმისთვის, რომ მის მიმართ შეფარდებული სასჯელი დაკავშირებული არ ყოფილიყო თავისუფლების აღკვეთასთან ან განსაზღვრულიყო უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, ასევე არ უწევდა კლიენტს საადვოკატო მომსახურებას მასთან პოზიციების შეთანხმებით, რაც გამოიხატა 2015 წლის 09 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე ადვოკატისა და კლიენტის პოზიციათა წინააღმდეგობრიობაში, ასევე ა. ნ.-სა და ადვოკატ ნ. შ.-ის მიერ ორი სხვადასხვა შინაარსისა და მოთხოვნის შემცველი სააპელაციო საჩივრების წარდგენაში, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 ადვოკატმა ნ. შ.-მ ა. ნ.-ს ოჯახის წევრთან, ხ. კ.-სთან 2015 წლის 20 მაისის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე აიღო ვალდებულება ა. ნ.-სთვის სისხლის სამართლის საქმეზე იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ. ადვოკატმა 2015 წლის 23 მაისს ა. ნ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულა, ხოლო 2015 წლის 08 ივნისს ორდერი ამოწერა ა. ნ.-ს დასაცავად. 2015 წლის 08 ივნისის ორდერის N38 თანახმად, ადვოკატი ნ. შ. ა. ნ.-ს იცავს გამოძიებასა და ქუთაისის სასამართლოებში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
20.05.2015 წ. ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ NXX–X
08.06.2015 ორდერი NXX
ა. ნ.-სთან ადვოკატ ნ. შ.-ის შეხვედრების ამონაწერი

5.2 2015 წლის 26 ივნისს ადვოკატს გადაეცა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, 2015 წლის 02 ივლისს ადვოკატი ნ. შ. იცავს ა. ნ.-ს წინასასამართლო სხდომაზე. ა.

ნ. აცხადებს, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ, ეს იყო პოლიციელთა პროვოკაცია და ის არ უნდა წამოგებოდა ამ პროვოკაციას. პროკურორისა და ადვოკატის განმარტებით, საქმის განხილვის იმ ეტაპზე არ აქვთ შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 02 ივლისის წინასასამართლო სხდომის ოქმი

5.3 ადვოკატმა ნ. შ.-მ წინასასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს სადაოდ არ ხდიდა და არც მათ დაუშვებლად ცნობას მოითხოვდა. ბრალდებული დაეთანხმა ადვოკატს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 02 ივლისის წინასასამართლო სხდომის ოქმი

5.4 2015 წლის 14 ივლისს ნ. შ. იცავს ა. ნ.-ს სასამართლო სხდომაზე. ბრალდებულის განცხადებით ის ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს და მტკიცებულებებს სადაოდ არ ხდიან; ბრალდებული ეთანხმება ადვოკატის განმარტებას; ადვოკატი აცხადებს, რომ ბრალდების მხარეს მიმართეს საპროცესო შეთანხმების განცხადებით და ელოდებიან პირობებს, ბრალდებული ეთანხმება ადვოკატს. პროკურორმა ითხოვა პროცესის გადადება, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების პირობებზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი

5.5 2015 წლის 21 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე ადვოკატი შუამდგომლობს ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების შესახებ და ამბობს, რომ საპროცესო შეთანხმების შესახებ თანხმობა არსებობს და მიმდინარეობს პირობებზე შეთანხმება, ასევე შუამდგომლობს პროკურორის შვებულებაში გასვლის გამო სხდომის გადადებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 აგვისტოს სასამართლო სხდომის ოქმი

5.6 ა. ნ.-სა და ადვოკატ ნ. შ.-ს შორის პოზიციათა უთანხმოება გამოჩნდა 2015 წლის 09 სექტემბრის სხდომაზე მას შემდეგ, რაც პროკურორმა განმარტა, რომ ზემდგომმა პროკურორმა არ მიიჩნია საჭიროდ მსგავსი კატეგორიის საქმეზე საპროცესო შეთანხმების დადება, ასევე საპროცესო შეთანხმების დადების წინააღმდეგია დაზარალებული. ბრალდებულმა ა. ნ.-მ განაცხადა, რომ

მისთვის ეხლა გახდა ცნობილი, რომ უარი ეთქვათ საპროცესო შეთანხმების დადებაზე და მოითხოვა საქმის არსებითად განხილვა. ადვოკატს არ აქვს შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების წარდგენის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, მოინანია, სადაოდ არ გაუხდიათ მტკიცებულებები და სასჯელის სახით ითხოვა მხოლოდ ჯარიმის გამოყენება. ბრალდებული კვლავ განმარტავს, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ, რადგან აყვა პოლიციელთა პროვოკაციას და საუბრობს 07 ნოემბრის მოვლენებზე. მოსამართლემ დაავალა ადვოკატს ჩამოყალიბებულიყო მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი აღიარებდა თუ არა დანაშაულს, ვინაიდან ადვოკატის და კლიენტის პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ადვოკატის განმარტებით, ა. ნ. თავს დამნაშავედ ცნობდა, ხოლო თავად ბრალდებულის განმარტებით, მისი მხრიდან ძალადობას ადგილი არ ჰქონია და ხელი არ დაუკარებია დაზარალებულებისთვის. ბრალდებულის განმარტებით, წინა სხდომაზე თქვა, რომ სრულად ცნობდა თავს დამნაშავედ, რადგან ეგონა საპროცესო შეთანხმება ფორმდებოდა. მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება ადვოკატის მიერ კლიენტთან პოზიციის შეთანხმების მიზნით. ბრალდებულმა განმარტა, რომ მანამდე ის ადვოკატის პოზიციას მიყვებოდა, მაგრამ აღარ სურს დაიცვას ადვოკატმა. ისინი ვერ ათანხმებენ პოზიციებს. ის იყო პატიმარი და ის ამბობდა რაში ცნობდა თავს დამნაშავედ. ა. ნ.-ს განცხადებით თავს ნაწილობრივ ცნობდა დამნაშავედ. ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტი იცვლის პოზიციას, ეხლა შეცვალა პოზიცია და ითხოვა ხუთ წუთიანი შესვენება. ადვოკატი ნ. შ. აცხადებს: ,,ჩემი კლიენტი იცვლის პოზიციას, ეხლა შეცვალა პოზიცია, მაშინ თავად ისაუბროს და მე ან დავეთანხმები ან ვუარყოფ.“ ბრალდებული არ ეთანხმება შესვენების გამოცხადებას, ვინაიდან ჩამოყალიბებული აქვს პოზიცია. მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ ადვოკატთან აქვს შესათანხმებელი პოზიცია და გამოაცხადა შესვენება. ადვოკატის საბოლოო განმარტებით, კლიენტს შეუთანხმდა და ა. ნ. ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ. იმ ნაწილში, რომ მას არ მიუყენებია შეურაცხყოფა პოლიციელებისათვის, პოლიციელები იყვნენ პირველები, ვინც დაიწყეს კონფლიქტი. ამას მოჰყვა ბრალდებულის რეაქცია. ადვოკატის განმარტებით, არ იცის რა უნდა ითხვოს, მაგრამ ითხოვს ბრალდებულისთვის ჯარიმის დაკისრებას. არ იცის არსებობდენენ თუ არა მოწმეები, მაგრამ რომც ყოფილიყვნენ, არც მათი მოძიება იქნებოდა პრობლემა. საქმისწარმოების იმ ეტაპზე დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ სურდა ამ მიმართულებით საქმის წასვლა. ბრალდებული ეთანხმება ადვოკატს. ადვოკატმა მოუბოდიშა სასამართლოს მომხდარი უხერხულობისთვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმი

5.7 ა. ნ.-მ საქმის არსებითი განხილვის დროს არ ცნო თავი დამნაშავედ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში. საქმის არსებითი განხილვის მოსამართლემ ვინაიდან 2015 წლის 02 ივლისს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სადაოდ არ გახადა, აღნიშნული მტკიცებულებები სსსკ-ის 73-ე მუხლის შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე მიიღო მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია და ა. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 03 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 სექტემბრის განაჩენი

5.8 ა. ნ.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ა. ნ.-ს ადვოკატი ნ. შ. აღარ იცავს. 2015 წლის 21 ოქტომბრის განცხადებით ა. ნ. ითხოვს ადვოკატის დანიშვნას სააპელაციო სასამართლოში მის დასაცავად საზოგადოებრივი წესით. 19 ნოემბრიდან ა. ნ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატი იცავს. 2015 წლის 25 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოსამართლე განმარტავს, რომ წარმოდგენილია 2 სააპელაციო საჩივარი, რომელიც შინაარსობლივად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ა. ნ.-ს საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 სექტემბრის განაჩენზე გადაეგზავნა ორი სააპელაციო საჩივარი: 2015 წლის 10 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა ა. ნ.-მ, რომელიც უთითებს, რომ განაჩენი არის უკანონო, არ ეთანხმება და ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებს იმ მოტივით, რომ მის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაული პოლიციელების მიერ იყო პროვოცირებული. იგივე განაჩენზე 2015 წლის 18 სექტემბერს ადვოკატმა ნ. შ.-მ წარადგინა სასამართლოში სააპელაციო საჩივარი, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარის მიერ არცერთი მტკიცებულება სადაოდ არ გამხდარა, ბრალდებულმა დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, რის საფუძველზე დადგინდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, ის გულწრფელად ინანიებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და ითხოვს, სასამართლომ ა. ნ.-ს საქმეში არსებული ყველა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით შეუფარდოს კანონით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი. სასამართლომ განიხილა ა. ნ.-ს სააპელაციო საჩივარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
ა. ნ.-ს 2015 წლის 21 ოქტომბრის შუამდგომლობა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის შესახებ
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმი
ა. ნ.-ს 2015 წლის 10 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი
ადვოკატ ნ. შ.-ის 2015 წლის 18 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის განაჩენი

5.9 ადვოკატი ნ. შ. ა. ნ.-სთან შეხვედრაზე იმყოფებოდა 2015 წლის 23 მაისს, 16 ივნისს, 06 ივლისს და ბოლოს 07 აგვისტოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N2 დაწესებულების 2015 წლის 22 დეკემბრის წერილი

6. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. შ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

7. **სამართლებრივი შეფასება:**

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. შ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს მისი კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით....“

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ,,ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.1.1 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად კლიენტის კანონშესაბამისი მითითებები და იმოქმედოს მასთან შეთანხმებით. სსსსკ–ის 44–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“ ადვოკატის პროფესიული ეთიკური ვალდებულებაა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით, სცადოს დაცვის პოზიციის წარმოჩენა, კონკრეტული ფაქტები და ბრალდების არგუმენტები გახადოს სადავოდ, წარადგინოს შუამდგომლობები და მტკიცებულებები, რომლებიც კლიენტთან შეთანხმებულია და შეფასებულია მათი სამართლებრივი წონადობა. საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გამოყენება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კლიენტისათვის ყველა კანონიერი საფუძვლის შესაქმნელად, რადგან სწორედ აღნიშნული იძლევა საფუძველს ზემდგომ ინსტანციებში დაცვის უფლების სრულად და ეფექტურად რეალიზებისთვის.

7.1.2 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №066/10/ დადგინდა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად

და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის."

7.1.3 საქმის მასალების მიხედვით, ა. ნ.-ს საქმეზე გამოძიება დაიწყო 2015 წლის 15 მაისს სისხლის სამართლის კოდექსის 353-1 მუხლის, პოლიციის მუშაკებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით (იხ. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი). ადვოკატ ნ. შ.-ის საქმეში ჩართვამდე ა. ნ.-ს ადვოკატი არ ჰყოლია. გამოძიების დაწყებიდან ადვოკატ ნ. შ.-ის საქმეში ჩართვამდე 2015 წლის 16 მაისს დაიკითხა ბრალდებული, ბრალდებულს ჩაბარდა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, 2015 წლის 17 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება ბრალდებულ ა. ნ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

7.1.4 ადვოკატმა ნ. შ.-მ ა. ნ.-ს ოჯახის წევრთან, ხ. კ.-სთან 2015 წლის 20 მაისის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე აიღო ვალდებულება ა. ნ.-სთვის იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ. ადვოკატმა 2015 წლის 23 მაისს ა. ნ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულა, ხოლო 2015 წლის 08 ივნისს ორდერი ამოწერა ა. ნ.-ს დასაცავად. 2015 წლის 08 ივნისის ორდერის NXX თანახმად, ადვოკატი ნ. შ. ა. ნ.-ს იცავს გამოძიებასა და ქუთაისის სასამართლოებში.

7.1.5 სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. უდანაშაულობის პრეზუმფციის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, ადვოკატი უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად.

7.1.6 სასამართლო სხდომის ოქმებით ა. ნ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე დგინდება ადვოკატ ნ. შ.-ის შემდეგი სახის მონაწილეობა: 2015 წლის 26 ივნისს ადვოკატს გადაეცა ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ, 2015 წლის 02 ივლისს ადვოკატი ნ. შ. იცავს ა. ნ.-ს წინასასამართლო სხდომაზე. ა. ნ. აცხადებს, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ, ეს იყო პოლიციელთა პროვოკაცია და ის არ უნდა წამოგებოდა ამ პროვოკაციას. პროკურორისა და ადვოკატის განმარტებით, საქმის განხილვის იმ ეტაპზე არ აქვთ შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. ადვოკატმა ნ. შ.-მ განმარტა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს სადაოდ არ ხდიდა და არც მათ დაუშვებლად ცნობას მოითხოვდა. ბრალდებული დაეთანხმა ადვოკატს. 2015 წლის 14 ივლისს ნ. შ. იცავს ა. ნ.-ს სასამართლო სხდომაზე. ბრალდებულის განცხადებით ის ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ, ადვოკატის განმარტებით, ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს და მტკიცებულებები სადაოდ არ გაუხდიათ; ბრალდებული ეთანხმება ადვოკატის განმარტებას; ადვოკატი აცხადებს, რომ ბრალდების მხარეს მიმართეს საპროცესო შეთანხმების განცხადებით და ელოდებიან პირობებს, ბრალდებული ეთანხმება ადვოკატს. პროკურორმა ითხოვა პროცესის გადადება, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების პირობებზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება. 2015 წლის 21 აგვისტოს სასამართლო სხდომაზე ადვოკატი შუამდგომლობს ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების

შესახებ და ამბობს, რომ საპროცესო შეთანხმების შესახებ თანხმობა არსებობს და მიმდინარეობს პირობებზე შეთანხმება, ასევე შუამდგომლობს პროკურორის შვებულებაში გასვლის გამო სხდომის გადადებაზე; ა. ნ.-სა და ადვოკატ ნ. შ.-ს შორის პოზიციათა უთანხმოება გამოჩნდა 2015 წლის 09 სექტემბრის სხდომაზე მას შემდეგ, რაც პროკურორმა განმარტა, რომ ზემდგომმა პროკურორმა არ მიიჩნია საჭიროდ მსგავსი კატეგორიის საქმეზე საპროცესო შეთანხმების დადება, ასევე საპროცესო შეთანხმების დადების წინააღმდეგია დაზარალებული. ბრალდებულმა ა. ნ.-მ განაცხადა, რომ მისთვის ეხლა გახდა ცნობილი, რომ უარი ეთქვათ საპროცესო შეთანხმების დადებაზე და მოითხოვა საქმის არსებითად განხილვა. ადვოკატს არ აქვს შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების წარდგენის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, მოინანია, სადაოდ არ გაუხდიათ მტკიცებულებები და ითხოვა მხოლოდ ჯარიმის გამოყენება. ბრალდებული კვლავ განმარტავს, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ, რადგან აყვა პოლიციელთა პროვოკაციას და საუბრობს 07 ნოემბრის მოვლენებზე. მოსამართლემ დაავალა ადვოკატს ჩამოყალიბებულიყო მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი აღიარებდა თუ არა დანაშაულს, ვინაიდან ადვოკატის და კლიენტის პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ადვოკატის განმარტებით, ა. ნ. თავს დამნაშავედ ცნობდა, ხოლო თავად ბრალდებულის განმარტებით, მისი მხრიდან ძალადობას ადგილი არ ჰქონია და ხელი არ დაუკარებია დაზარალებულებისთვის. ბრალდებულის განმარტებით, წინა სხდომაზე თქვა, რომ სრულად ცნობდა თავს დამნაშავედ, რადგან ეგონა საპროცესო შეთანხმება ფორმდებოდა. მოსამართლემ გამოაცხადა შესვენება ადვოკატის მიერ კლიენტთან პოზიციის შეთანხმების მიზნით. ბრალდებულმა განმარტა, რომ მანამდე ის ადვოკატის დინებას მიყვებოდა, მაგრამ აღარ სურს დაიცვას ადვოკატმა. ისინი ვერ ათანხმებენ პოზიციებს. ის იყო პატიმარი და ის ამბობდა რაში ცნობდა თავს დამნაშავედ. ა. ნ.-ს განცხადებით თავს ნაწილობრივ ცნობდა დამნაშავედ. ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტი იცვლის პოზიციას, ეხლა შეცვალა პოზიცია და ითხოვა ხუთ წუთიანი შესვენება. ადვოკატი ნ. შ. აცხადებს: ,,ჩემი კლიენტი იცვლის პოზიციას, ეხლა შეცვალა პოზიცია, მაშინ თავად ისაუბროს და მე ან დავეთანხმები ან ვუარყოფ.“ ბრალდებული არ ეთანხმება შესვენების გამოცხადებას, ვინაიდან ჩამოყალიბებული აქვს პოზიცია. მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ ადვოკატთან აქვს შესათანხმებელი პოზიცია და გამოაცხადა შესვენება. ადვოკატის საბოლოო განმარტებით, კლიენტს შეუთანხმდა და ა. ნ. ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ, კერძოდ, იმ ნაწილში, რომ მას არ მიუყენებია შეურაცხყოფა პოლიციელებისათვის, პოლიციელებმა თავად დაიწყეს კონფლიქტი, რასაც მოჰყვა ბრალდებულის რეაქცია. ადვოკატის განმარტებით, არ იცის რა უნდა ითხოვოს, მაგრამ ითხოვს ბრალდებულისთვის ჯარიმის დაკისრებას. არ იცის არსებობდენენ თუ არა მოწმეები, მაგრამ რომც ყოფილიყვნენ, არც მათი მოძიება იქნებოდა პრობლემა. საქმისწარმოების იმ ეტაპზე დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ სურდა ამ მიმართულებით საქმის წარმართვა. ბრალდებული ეთანხმება ადვოკატს.

7.1.7 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატისა და ბრალდებულის პოზიციების წინააღმდეგობრიობის დროს, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე დააყენოს თვითაცილება თუ მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები ერთობლიობაში ადასტურებს დანაშაულს და საქმის არსებითი განხილვა არაპერსპექტიულია. მოცემულ შემთხვევაში სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. შ.-ისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის პოზიციები წინააღმდეგობრივი იყო, თუმცა ადვოკატს თვითაცილება არ დაუყენებია.

7.1.8 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატისა და კლიენტის პოზიციებს შორის წინააღმდეგობა შეიქმნა ჯერ კიდევ წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც ა. ნ.-მ განმარტა, რომ თავს ნაწილობრივ ცნობდა დამნაშავედ, ხოლო ადვოკატის პოზიციით მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი სრულად ცნობდა თავს დამანაშვედ. ფაქტიურად ბრალდებული წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმებოდა. ბრალდებულის პოზიცია გულისხმობს, რომ ა. ნ. რაღაც ნაწილში თავს უდანაშაულოდ ცნობდა. ამ დროს ადვოკატის ვალდებულებაა სადაოდ გახადოს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მოითხოვოს ყველა მტკიცებულების არსებითად გამოკვლევა. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მისცეს საშუალება თავის გამართლებისათვის. როცა ადვოკატი ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულებას უდაოდ ხდის, ბრალდებულს ართმევს საშუალებას, რომ მისი პოზიცია დაასაბუთოს. ის ფაქტი, რომ ბრალდებული დაეთანხმა ადვოკატის პოზიციას მტკიცებულებათა სადაოდ გახდომაზე უარის თქმას, ეს ვერ დაეხმარება ადვოკატს თავისი პოზიციის დასაბუთებაში, ვინაიდან მტკიცებულებათა დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობა ბრალდებულის კომპეტენცია არ არის. იმ გარემოებას, რომ ბრალდებული არ ითხოვდა მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობას, ადასტურებს მისი მომდევნო საჩივრები სააპელაციო ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში. წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატს ბრალდების მხარის მტკიცებულებები უნდა გაეხადა სადაოდ, რაც დაცვის მხარეს მისცემდა საშუალებას საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულებები გამოკვლეულიყო. მით უმეტეს წინასასამართლო სხდომაზე პროკურორი, ბრალდების მხარე უთითებს, რომ მოლაპარაკება არ მიმდინარეობს საპროცესო შეთანხმების დადებაზე. წინასასამართლო სხდომის ეტაპზე არც ადვოკატს ჰქონდა შეტანილი განცხადება საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით. გარდა ამისა, მტკიცებულებათა სადაოდ გახდომა არც შემდეგ აბრკოლებს მხარეს დადოს საპროცესო შეთანხმება, თუ მსგავსი მიიღწეოდა მხარეთა შორის. საქმის არსებითი განხილვის მოსამართლემ ვინაიდან 2015 წლის 02 ივლისს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სადაოდ არ გახადა, აღნიშნული მტკიცებულებები სსსკ-ის 73-ე მუხლის შესაბამისად, გამოკვლევის გარეშე მიიღო მტკიცებულებად, როგორც პრეიუდიცია და ა. ნ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 03 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა. განხილვის კოლეგიის შეფასებით, განხორციელებული საადვოკატო მომსახურების სადაო ნაწილში ადვოკატმა ნ. შ.-მ დაარღვია კვალიფიციურად მომსახურების ვალდებულება.

7.2 ადვოკატ ნ. შ.-ის მიერ ასევე დარღვეულია შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს მისი კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით....“

,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

7.2.1 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია კლიენტის დროულ ინფორმირებას გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას უკავშირებს. კომისიამ 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/11 განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

7.2.2 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N026/10/ განმარტა, რომ ,,ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. თუმცა, კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატოს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა, ამ დროსაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“ ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N096/11 დაადგინა: ,,სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

7.2.3 ა. ნ.-ს სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ა. ნ.-ს ადვოკატი ნ. შ. აღარ იცავს. 2015 წლის 21 ოქტომბრის განცხადებით ა. ნ. ითხოვს ადვოკატის დანიშვნას სააპელაციო სასამართლოში მის დასაცავად საზოგადოებრივი წესით. 2015 წლის 19 ნოემბრიდან ა. ნ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატი იცავს. ა. ნ.-ს საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 09 სექტემბრის განაჩენზე გადაეგზავნა ორი სააპელაციო საჩივარი: 2015 წლის 10 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა ა. ნ.-მ, რომელიც უთითებს, რომ განაჩენი არის უკანონო, არ ეთანხმება და ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებს იმ მოტივით, რომ მის მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაული პოლიციელების მიერ იყო პროვოცირებული. იგივე განაჩენზე 2015 წლის 18 სექტემბერს ადვოკატმა ნ. შ.-მ წარადგინა სასამართლოში სააპელაციო საჩივარი, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარის მიერ არცერთი მტკიცებულება სადაოდ არ გამხდარა, ბრალდებულმა დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, რის საფუძველზე დადგინდა საქმეზე ობიქტური

ჭეშმარიტება, ის გულწრფელად ინანიებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და ითხოვს, სასამართლომ ა. ნ.-ს საქმეში არსებული ყველა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით შეუფარდოს კანონით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი. სასამართლომ განიხილა ა. ნ.-ს სააპელაციო საჩივარი.

7.2.4 განხილვის კოლეგიის შეფასებით, პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N2 დაწესებულების 2015 წლის 22 დეკემბრის წერილის თანახმად, ადვოკატი ნ. შ. ა. ნ.-სთან შეხვედრაზე იმყოფებოდა 2015 წლის 23 მაისს, 16 ივნისს, 06 ივლისს და ბოლოს 07 აგვისტოს. 09 სექტემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლო სხდომის შემდეგ, მით უმეტეს რაც გამოიკვეთა ადვოკატსა და კლიენტს შორის პოზიციათა შეუთანხმებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ადვოკატს აცილებას არ უყენებს, მაგრამ აცხადებს, რომ საკუთარ ინტერესებს თავად დაიცავს, ვინაიდან ადვოკატის პოზიცია მისთვის აღარ არის მისაღები, ადვოკატ ნ. შ.-ს კლიენტთან კომუნიკაციისა და სააპელაციო საჩივრის შინაარსის მასთან შეთანხმების გარეშე შეაქვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი ისევ იმ შინაარსით, რომელიც ეწინააღმდეგება ა. ნ.-სა და მის მიერ 2015 წლის 09 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე წარმოთქმულ დასკვნით სიტყვაში ჩამოყალიბებულ პოზიციას. ადვოკატისთვის ცნობილი გახდა 2015 წლის 09 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე ბრალდებულ ა. ნ.-ს პოზიცია, რომ ის თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ცნობდა, რაც მისი დაცვის ქვეშ მყოფს ყოველ სხდომაზე აქვს გაჟღერებული, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივად გულისხმობდა იმას, რომ იგი თავს უდანაშაულოდ ცნობდა, ადვოკატს კვლავ ის პოზიცია აქვს გამოხატული სააპელაციო საჩივარში, რაც ეწინააღმდეგება ბრალდებულის მიერ 2015 წლის 09 სექტემბრის სხდომაზე ჩამოყალიბებულ პოზიციას.

7.3 ადვოკატმა ნ. შ.-მ 2017 წლის 10 მარტს განხილვის სხდომაზე განმარტა, რომ სააპელაციო საჩივრის შინაარსი დაცვის ქვეშ მყოფთან შეთანხმებული არ ჰქონია. შესაძლებელია ადვოკატი ნ. შ. მისი პროფესიული შეფასებიდან გამომდინარე სააპელაციო საჩივრის წარდგენისას მოქმედებდა მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ადვოკატი ვალდებული იყო შეხვედროდა კლიენტს საჩივრის წარდგენამდე, დაეზუსტებინა მისი პირობები და ემოქმედა მისი მითითებების შესაბამისად. კლიენტთან კომუნიკაციის გარეშე, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები, ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ დაცვად.

7.4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

7.5 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და გარემოება, რომ ადვოკატი ნ. შ. არ

ყოფილა დისციპლინირებული, მას შემდეგ რაც ადვოკატს ჩაბარდა აღძვრის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევაზე მითითებით, ადვოკატმა გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ამავე კანონის მე–5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2, მე-5, მე-6 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19 მუხლით, 20, 33-ე, 35-ე, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №022/16 ადვოკატ ნ. შ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. ადვოკატ ნ. შ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/